ლევან გველესიანი

რაპი ერთხელ შეგიყვარე...

2024

„ისეთი გრძნობა გამოვიგონეთ, კაცობრიობას რომ გადარევდა...“

ლევან გველესიანი

დიახ, ეს ის გრძნობაა, რომელმაც უამრავი რამ მასწავლა, მთავარი და ღირებული კი – სიყვარულით ცხოვრება. დღეს, როცა სამყარო უსიყვარულობას ნამდვილად განიცდის, ვფიქრობ, შავით თეთრზე დაწერლ გრძნობას კიდევ უფრო დიდი გააზრება და დაფასება სჭირდება.

ეს წიგნი ჩემი სამადლობელია იმ დიდი სიყვარულისთვის, ადამიანობისთვის, გულწრფელობისა და სიკეთისთვის, რასაც ჩვენი თანაცხოვრების მანძილზე ვიღებ.
დაე, ჩვენი გრძნობა კაცობრიობისთვის კიდევ ერთ რიგით მაგალითად იქცეს...
ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი.

ლელა ბერიძე-გველესიანი

იდეის ავტორი
ლელა ბერიძე-გველესიანი

რედაქტორი
თამარ კობახიძე, მიხეილ სახვაძე, ლელა ბერიძე-გველესიანი

კორექტორი
მიხეილ სახვაძე

დიზაინი, დაკაბადონება
მარიამ ელიზბარაშვილი

გარეკანის ნახატი
გიორგი გველესიანი

წიგნში გამოყენებულია მარიამ ელიზბარაშვილის ილუსტრაციები

ISBN 978-9941-8-6350-9
© ლევან გველესიანი, 2024
© გამომცემლობა შ.პ.ს “ირიდა”, 2024

სარჩევი

აჩრდილი 5

ფიქრი 9

*** გიორგობის მადლს და თვალებს დავიფიცებ 12

ღმერთმა ასე ინება 13

*** ლამაზად აფეთქდა ფანჯრებთან თუთა 17

*** ლამაზია შენთან ტრფობა 17

*** შენ მოგაკუთვნე გრძნობები ჩემი 17

*** დამღალა ქინმა - ველურად ყოფნა 17

*** პაწაწინა სუნთქვამ 17

ღელა 19

*** შენზე ძლიერი არ არსებობს ქვეყნად ბადაგი 22

*** შემიძლია უსასრულოდ ვწერო შენზე 23

*** მე ახლა ვდგავარ ჯალათთა შორის 24

*** მე შენსკენ მომიწევს გული 24

*** მე ვერ გავუძლებ ამ უშენობას 25

მასწავლებელი 27

*** მინდა, რომ სიყვარული გაჩუქო 30

გიოს 31

მამიკოს ღექსი ნეას 35

*** კანფეტების ცარიელმა ვაზამ 39

*** რა უსაშველოდ გაიწელა დროში ფიქრები 40

*** აღდგომაა, გავჭრათ პასკა 41

ᲓᲔᲓᲐ 43
*** საქართველოს მინდორ-ველებს 46
*** პატარა თითებით დავხატავ სამყაროს 46

ᲡᲐᲑᲐᲡ 47
*** რატომ მითხარი, რომ სიცოცხლეს შენთვის ვუიდ-ულობ 50
*** მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან 51
*** თუ არ იქნები ჩემთან 52

ᲦᲣᲡ 53

ᲡᲝᲜᲔᲢᲘ 57

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ 61

ᎥᏝᏂᎦᏙᎾᏍᏗ

ლურჯ აჩრდილად ამედევნა ფიქრი ქარზე,
მეც ქარივით ღრუბელს სავალს ვუკვლევ, –
სიზმარში კი ძვირფას ფოტოს ვაკვირდები,
რომელიც მე აღარა მაქვს უკვე...

ეს თავნება ქარი სულის საოცარი,
ხან აშვება, ხან კი მეტად დინჯი.
და მოცარტიც კიდევ ერთხელ დაუკარით,
აყვირების რომ არ დამრჩეს ხინჯი!

ლაღად კიდევ, კიდევ ერთხელ დაუკარით,
გზააბნეულს აღარ დამრჩა ხურდა.
ჩემს აჩრდილს და ჩემს სიყვარულს რა ვუთხარი,
შემეკითხეთ, იქნებ, რამე მსურდა?!

ამ უვნებელ სურათშიაც დაჭერის სიო,
სიყვარულის მასაც უსვამს ბანგი.
ავადა ვარ? – შენი ნატვრა ამეხიროს –
რაკი ერთხელ შეგიყვარე, რაკი...

ფიქრი

შენ შეგიძლია, გაექცე გრძნობებს
და მე დამტოვო სულით ეული.
შენ შეგიძლია, ლახვარი დასვა,
სიღრმისეული, სულისეული...

გრძნობა მოთოკო, დიდი ნიჭია,
თავის ნიჭი აქვს – ბანოვანებას.
და შენზე მეტი რა შემიქმნია
არარეალურ – ირეალობას...

რატომ ვეტმასნი უბადრუკობას,
სულით მკვდარი ვარ – ისეც, ასედაც –
ხან მეშინია თვალის დახუჭვა,
ხან მეშინია თვალის გახელაც...

არა, არ მინდა ვინმემ იცოდეს,
თვალები ფერებს როდის კარგავენ...
და თუ ოდესმე მეც შემიცოდეს
იმ საიქიოს ამომქარგავენ.

ამომქარგავენ ლოდებთა შორის,
ლოდინით მკვდარი, ბალახის ბლუჯა
და ჩემებრ ერთი ცოცხალი–მკვდარი,
იტუვის: – ცხედარი რამ გაალურჯა...

არა მსურს, ლურჯი დამედოს ფერი,
მსურს, ვკიაფობდე წითლად, მხურვალედ,
ჰირს კი ღიმილი მიკრთობდეს მკვდარი
სანამ თვალებსაც დამიხუჭავენ.

შენც ჩამოგცვივა ცრემლთა დინება,
ვიცი, ჩაიცვამ შავს თუნდ ერთი დღით...
მერე კი, როცა მოგეწყინება,
შენ ჩემ სიყვარულს ვეღარ დაიცდი...

მე სულში შენში ღრმულებს ჩავხვრეტავ,
იქ დავიბუდებ სახლ-უქონელი
და გახსენება იქნება ცუდი,
ცუდი, რადგანაც კარგს არ მოველი...

ბოლოს კი ფიქრი ფიქრად დარჩება,
რადგან ჩემს გრძნობას არ აქვს ლაგამი,
დავრჩები ხორცი გამოფიტული,
სიყვარულის და სულის სადგამი...

***

გიორგობის მადლს და თვალებს დავიფიცებ,
თვალებს, სიზმრებს რომ მიკრთობენ ყოველ ღამე,
მენატრები, მელანდები, ვერ გივიწყებ,
შენთან ვარ და უშენობით დავიღალე...

ეგ ბავშვური გაღიმება, განათება,
ეჭვი, გულში მაინც სულმთლად ვერ დავცალე...
მოდი, თორემ მარტოობა გაავდრდება,
ჩემთან მოდი, შენი ეშხით მიმკურნალე..

გუშინდელი ღამე იყო მონატრება,
შენ გეტრფოდი, შენ გეტრფოდა თეთრი მთვარეც,
უკან დამდევს ეგ ღიმილი, მოლანდება,
მე ღიმილი მხოლოდ შენი მოვიპარე...

ჟინი, როგორც მგელი ისე მომვარდება,
გადარეულ ამ გულს რას შეადარებ,
და ელვარე ცეცხლი ისე ავარდება,
მთელ ქვეყანას შენთვის შეაზანზარებს..

გაავდრდება... გაავდრდება... გაავდრდება...

ღმერთმა ასე ინება

ფოთოლცვენას დაიბადა,
იყო ცრემლის დინება,
ტირილით შვა დედამ გოგო –
ღმერთმა ასე ინება...

დედის ძუძუს დაეწაფა,
აატირეს კბილებმა,
ხე წაიქცა – გოგო დადგა,
ღმერთმა ასე ინება...

ბაღის ეზოს მიაშურეს,
მშობლებმა და შვილებმა,
გოგოს ძიძა ეფერება –
ღმერთმა ასე ინება...

ბაღის ეზოს ზარი მოჰყვა,
სექტემბერი იწყება,
სკოლის ჩანთა ზურგს უმძიმებს –
ღმერთმა ასე ინება...

წყალი მიდის, თოვლს მზე ადნობს
ყველაფერი იზრდება,
წუთი, დღე, თვე, წელიწადი –
ღმერთმა ასე ინება...

ისევ მარტო დგამს ნაბიჯებს,
სტუდენტობა იწყება...
სდუმს ლექციის დაწყებამდე –
ღმერთმა ასე ინება...

ლამაზ თვალებს დააკვესებს,
კოცნა დაეფინება,
პაემანზე წაიყვანენ –
ღმერთმა ასე ინება...

სიყვარულს რომ აუხსნიან,
გოგოს არ ეწყინება,
სახლში მისვლა ედარდება –
ღმერთმა ასე ინება...

სიყვარული ნახა გოგომ,
ის არ გაიყინება,
ადგება და მისთხოვდება –
ღმერთმა ასე ინება...

იყო დიდი სიყვარული,
ოცნებების დინება...
ტირილით შვა დედამ ბიჭი –
ღმერთმა ასე ინება...

***

ლამაზად აფეთქდა ფანჯრებთან თუთა,
ოცნებობს... მას შენთან ცხოვრება უნდა.
ვერ ხვდები?.. ხეს ცეცხლი დაფერფლის მუდამ
ეჭ... რა ლამაზად აფეთქდა თუთა...

***

ლამაზია შენთან ტრფობა,
ელავს გრძნობა, ხარობს სული,
ლურჯ აჩრდილად მოაქვს ჩემთან
ამ ალიონს სიყვარული...

***

შენ მოგაკუთვნე გრძნობები ჩემი,
რაც კი შევქმენი მარტოდენ ერთმა
და როგორც ნიმფას ისე მოგელი,
მე შენი თავი მარგუნა ღმერთმა...

***

დამღალა ჟინმა – ველურად ყოფნა
აღარ მიშუშებს ეულ იარებს,
შორს გამოჩნდება პატარა გოგო
და მთელ ცხოვრებას დამიბზრიალებს...

***

პაწაწინა სუნთქვამ
ამირია გზები,
ადრე უშენობით
ნეტავ, როგორ ვძლებდი,
როცა არ გიცნობდი,
როცა არ გეძებდი?!

ღვღა

განშორების მოტივტივე ტალღამ
კვლავ იფეთქა სულში ამორძალმა.
ათი წუთიც არ გასულა, მაგრამ
დარდად ქცეულს ოხვრა ამოსძალა...

გამეხიდა მოლოდინის ტანჯვა,
ყელში როგორც მახრჩობელა ბურთი,
ეს ლექციაც ჯერ დაიწყო ახლა,
გასულია მხოლოდ ოცი წუთი...

მე მიგიყვან სიყვარულის ღმერთთან,
რომ არ დაგრჩეს გრძნობა მოსანათლი,
ოცდაათიც გავიდა და ახლა,
რჩება კიდევ ერთი ოცდაათი...

ერთი წამიც რომ გავიდეს ახლა
თვალი სახეს კვლავ მოითხოვს მხსნელად,
ოცი წუთიც გაუძელი ახლა
და მერე კი კარს გააღებს ლელა.

ათი წუთიც გაიწელა ისე
როგორც რელსზე მატარებლის თვალი
და დამცინის ზევით ციფერბლატი
მთვრალი, მთვრალი განშორებით მთვრალი.

სულ პირველი გამოხვედი ისევ
ათი წუთი ვით პატიმარს დრო მაქვს,
არ გაკოცო?! ღოგორ გავძლო ისე –
მე ხომ კოცნით სიყვარული მომაქვს...

***

შენზე ძლიერი არ არსებობს ქვეყნად ბადაგი,
დამათრობელად დაიბადე ობოლი სულის
და ყოველ ღამეს, მსურს, დავწერო ტრფობის ბარათი,
შენთან ყოფნის და სიყვარულის დღესასწაულის.

წვიმს, წვიმამ სევდას შეურია ფიქრების რბოლა,
ნოემბრის ქარმა გაიტაცა დრონი წამების,
სადაც გინდ იყო, კვლავ გიპოვი, კვლავ შენთან მოვალ,
მე თუ წამაქცევს სხვაგან კრთომა შენი თვალების.

კვირა ხარხარებს, შაბათი კი ჩემსკენ მოიქცა,
სდუმს ორშაბათი, მძიმე დღეა ჩვენი შეხვედრის
და მე დავლიე საწამლავი, ანუ შარბათი
კვლავაც დავიწვი, ოღონდ ტრფობით – ციურ ვერხვების...

მე შენით ვარ მთვრალი, გოგოვ, როგორ ვერ ხვდები?!
დღე ჩაიწურა, დღე ჩაიწვა, ხვალ კი შეგხვდები...

***

შემიძლია უსასრულოდ ვწერო შენზე,
მარტო შენზე,
მხოლოდ დღეზე –
ან ვიფიქრო სინათლეზე.

მარტო ჩვენზე,
გავლილ გზებზე
ბნელზე?!..
ბნელზე წერონ სხვებმა,

ჩვენი ჩხუბის მეგობრებმა.
შემიყვარდი გუშინ, დღესაც
არ გავცვლიდი სიცოცხლესაც
შენი ერთი ნახვის წამზე,

შემიყვარდი ძლიერ, ძალზე.
შენზე ვფიქრობ,
შენთან მინდა!
დარდს არ ვიქრობ
და არც მინდა!

უღიმღამო მქონდეს გრძნობა,
ახლაც შენი მინდა ნახვა,
ახლაც შენთან მინდა ყოფნა,
მენატრები, მაგონდები

მაშინაც კი ჩემთან რომ ხარ,
თუ მოიცლი? ვაი ჩემს თავს –
როდის გნახავ,
როდის მოხვალ?!

***

მე ახლა ვდგავარ ჯალათთა შორის
და სპეტაკ თოვლის წამოსვლას ვნატრობ.
მე ვდგავარ, მაგრამ ფიქრი არ მიცდის,
იგი აჯანყდა მხოლოდ და მარტო...

თოვს, თეთრი თოვლი ვერ უძლებს მიწის
ბინძურ ხვეულებს და დნება, დნება...
იარაღთან და „რუსულ ჩექმებთან“
სულ სხვა ოცნება მომენატრება.

***

მე შენსკენ მომიწევს გული,
ომი განვუცხადე ფორმას,
სული დამელევა, სული
დღეს ადრე თუ არ მოვალ.

ყოველთვის მინდა, რომ დილა
განსაკუთრებულად თოვდეს,
სხეულს, უშენობით მცივანს
ცხოვრების მიზანი ჰქონდეს,

მთხოვდეს, კვლავ შენს თვალებს მთხოვდეს,
ნოემბრის აყოლილ სევდას,
ნიავიც ლამაზად ქროდეს,
„გიჟები, გიჟები“ გვერქვას.

მე შენსკენ მომიწევს გული
ომი განვუცხადე ფორმას,
ფურცელსაც დაელია სული,
დღეს ადრე, დღეს ადრე მოვალ...

***

მე ვერ გავუძლებ ამ უშენობას,
შენზე ლოდინში მეღლება თვალი,
წყურვილმა უკვე ვეღარ დამაცხრო,
ერთხელაც უნდა მოვიკლა თავი...

სურვილი დროში უფრო მძაფრდება,
დავიარები უშენოდ მთვრალი,
ჭირვეულ გოგოს თუ ვერ გავუძლებ,
ერთხელაც უნდა მოვიკლა თავი...

მე მეზიზღება ჩემი სიცოცხლე,
დარდად მქცევია ოცნების ქალი,
რადგანაც გრძნობებს ვეღარ გიმტკიცებ
ერთხელაც უნდა მოვიკლა თავი...

ბოდიშს მოგიხდი, რომ არ ვარსებობ
და სამოთხისაც დახურეთ კარი
შენმა სხეულმა თუ ვერ აღმაგზნო,
ერთხელაც უნდა მოვიკლა თავი.

არ გადაგიწევ ლამაზ თმებს შუბლზე,
არ შეგაწუხებს წასვლის წინ კოცნა,
დავასამარე ჩემი სიცოცხლე,
სიკვდილი არის უშენოდ ყოფნა...

მასწავლებელი

ვინ შეეჭიდოს ამ სამყაროს ლამაზ ქმნილებებს,
ახალი გენი რომ აღზარდოს, მისცეს გონება?
სიტყვა ლამაზი და სპეტაკი, სულით ხალასი,
მასწავლებელი – სხვა არავინ არ მაგონდება...

მშობლიურ სიტყვებს რომ გვიქარგავს ხელი დაღლილი
ჩვენს ქართველობას რომ აღვიძებს, სისხლი ხურდება.
რა არის ქვეყნად დიდი ჯილდო ამაზე მეტი,
მასწავლებელი – დანარჩენი – კვდება, ხუნდება...

რა წყალობაა – შენი ცოდნით იხაროს ერმა
და რა ტვირთია, მშობლები რომ შვილებს გიძღვნიან.
მასწავლებელი – არ დავლოცო ყველაზე მეტად?!
მასწავლებელი – არ მიყვარდეს, არ შემიძლია.

მე მსურს, რომ ვიყო თქვენი წრთობის მტკიცე ფოლადი
თქვენი ცხოვრება საუნჯეა, დიდი წიგნია.
მე მისწავლია ბევრი ლექსი, სიტყვა მრავალი...
ამაზე ტკბილი ლექსი ჯერ არ წამიკითხია.

***

მინდა, რომ სიყვარული გაჩუქო,
მინდა, რომ გაგიშალო თმები.
თვალებში სიყვარული დაგინთო,
იებით მოგიფანტო გზები.

მინდა, რომ მხოლოდ შენს ხმას ვისმენდე,
მინდა, რომ ტრიალებდეს სამყარო.
მე შენი სიყვარული მტკიოდეს,
გრძნობებთან ვერავინ ვერ გამყაროს.

მინდა, რომ ღამე გადაგვათენდეს,
მინდა, რომ გავაკეთოთ... „კექსი“,
აივანზე პაპიროსი მოვწიოთ –
მერე ჩუმად წაგიკითხო ლექსი.

მინდა, რომ ჩვენ შევცვალოთ სამყარო,
მინდა, რომ კვლავ მაჩუქო შვილი,
რომ მერქვას შენი სულის რაინდი,
მე შენთვის მუზარადით ვივლი.

ეს სამყარო არის ჩვენთვის პატარა
და სიცოცხლეც არ გვეყოფა ერთი,
მე ყოველთვის შენ მწვერვალად დაგიპყრობ,
შენ ხარ ჩემი სიყვარულის ღმერთი.

ᲒᲘᲝᲡ

შენი მოსვლით ეს სამყარო
ძლიერ გამილამაზე,
დაიძინე, პაწაწინა,
მამის იავნანაზე.

მე ბევრ ზღაპარს მოგიყვები,
შენ თვალები ჩარაზე,
დაიძინე, პაწაწინა,
მამის იავნანაზე.

შენზე ტკბილი არვინა მყავს,
ბიჭოვ, ამ ქვეყანაზე,
დაიძინე, პაწაწინავ,
მამის იავნანაზე.

დილით ბევრი ვისაუბროთ,
იმაზე და ამაზე,
დაიძინე, პაწაწინა,
მამის იავნანაზე.

ჩემს სიყვარულს გადაგაფენ
ბალიშსა და საბანზე,
დაიძინე, პაწაწინა,
მამის იავნანაზე.

უფრო კარგი გაიზრდები
დედაზე და მამაზე,
მერე შენს ბიჭს დააძინებ
მამის იავნანაზე.

მამიკოს ღეჭსი ნეას

გაზაფხულდა, ჩვენს ეზოში
კვლავ აპრილის თვეა,
გასართობად მოჰყავს მამას,
ოქროსფერი ნეა.

ყვავილების სურნელი დგას
და რა თბილი მზეა,
დაფარფატებს მამას გოგო,
მზისთვალბა ნეა.

მისი სუნთქვა ასულდგმულებს
ბედნიერი დღეა,
როცა მამას ეხუტება
პაწაწინა ნეა.

მოთხუპნული ტუჩის საცხი
შავი თუთის ხეა,
მამის ხელებს ეჯიდება
ნუშისთვალა ნეა.

მათი გრძნობა – ანთებული,
უკვდავების წრეა
და ამ წრეში ჩახატული
მამის სიტკბო ნეა.

დედები არ კვდებიან,
ისინი შვილებს მფარველ ანგელოზებად დაჭყვებიან...

გამიჭირდა შემოდგომის სუსხში,
წვიმის წვეთში შენს სილუეტს ვხედავ,
შემოვაღე სახლის კარი გუშინ,
არვინ მითხრა, – „გენაცვალოს დედა!"

ადრიანად რომ წამიხველ ცაში,
ჩემი თავის გამართლებას ვბედავ,
უძილობით დაქანცული გიცდი,
მომაშველე – „გენაცვალოს დედა!"

უშენობით, ყოველი დღის სევდა,
ნაოჭებად გამჩენია, ხედავ?!
ო, რა ძლიერ შემაჩვიე სიკვდილს,
შემეგებე – „გენაცვალოს დედა!"

გადამისვი მოცახცახე ხელი
და ბეჭებზე გამისწორე ზედა,
მომაყოლე ახალი და ძველი,
შენს კალთაზე დამასვენე, დედა.

ამ სიცივეს შენი სახე მითბობს,
ჩემს გულში კი დარდია და სევდა,
შენი ხმა რომ მომენატრა, იცი?!
დამიძახე, – „გენაცვალოს დედა!"

სადღაც ჩუმად გაიპარა წლები,
მოყვითალო ნოემბერი დგება,
ხმელ ფოთლებში ვისეირნოთ, მოდი,
დამეყრდენი, ხელს ჩაგკიდებ, დედა.

შენი სუნია ჰყოლიაკედლებს,
შენი სითბო გამჯდომია ყველგან,
დავიძინებ შენს სურათთანისევ,
დამესიზმრე, გენაცვალე, დედა.

***

კანფეტების ცარიელმა ვაზამ,
ჩემი გოგო ძლიერ გააბრაზა.
ისევ ახსოვს დათუნიას გემო,
კალთიდან რომ მიაწვდიდა ბებო.

აღარ უყვარს მოწყენილი ძილი,
ენატრება მოფუსფუსე ლილი,
ყველგან ეძებს, დაიღალა გოგო,
მაგრამ როგორ მოერიოს, როგორ?!

იმ ანც დღეებს თამაშობდნენ როცა,
კვლავ მოუნდა ბებოს თბილი კოცნა,
ჭრელა-ჭრელა კაბები და წინდა
გაიძახის: მინდა! მინდა! მინდა!..

დავამშვიდო? როგორ შევძლო, როგორ?!
ჩემი ერთი თითისტოლა გოგო,
ის ხომ ძლიერ შეიყვარა ერთმა
და ის ერთი წაიყვანა ღმერთმა.

სანთელს ანთებს პაწაწინა თათი,
თვალებში აქვს ცისკრის ათინათი,
ღმერთს აბარებს მოკითხვებს და კოცნებს,
ბებოს უძღვნის მოკლე-მოკლე ლოცვებს.

თავს ჩაღუნავს, მოერევა სევდა,
ეკითხება მამიკო და დედა,
რა გინდაო, პაწაწინა ნეკო? -
გამიცოცხლეთ, საყვარელი ბებო!

***

რა უსაშველოდ გაიწელა დროში ფიქრები,
ჩემი თმის ფერში ვერცხლისფერი შენი შევნიშნე,
შემოჟღურტულდნენ ჩემს ოთახში შენი გვრიტები,
და ჩამოსული ცრემლი ხელით ჩუმად შევიშრე.

გულის ფიცართან შენი სუნით განაჯერები,
ღვთისმშობლის ხატი მოსვენებას უფრო მიკარგავს,
ჩემთან რომ იყავ, მევლებოდი და რომ მკოცნიდი,
რომ აღარა ხარ, ახლა უფრო მეტად მიყვარხარ.

ახლაც ვგრძნობ მხარზე შენი ხელით ამონაბურცვებს,
სულის ტკივილებს მხოლოდ შენზე ლოცვა მიამებს,
და როგორც ადრე, მე გითვლიდი სახის ნაოჭებს,
უკან გიბრუნებ უშნობით ნაშოვნ იარებს.

მახსოვს, გივსებდი ყვავილებით ოთახს მადლიანს,
როგორ გიყვარდა ყაყაჩო და მინდვრის ღიღილო,
მინდა რომ წამით, მხოლოდ წამით გული გაჩერდეს,
რომ გაელვებით შეგეხო და ისევ გიხილო!

გუშინ წაიქცა ჩემი შვილი, შენი ბელურა,
და შენი ცრემლით ვერ მოვბანე ფეხი ნატკენი,
აცრემლებული ჩავიკარი, შველა შევძელი,
მაგრამ ვერა ვთქვი შენი თბილი, ტკბილი სათქმელი.

თითქოს, მეექვსე სკამი სახლში მეზედმეტება,
მაგიდის კიდეს შეეჩვია მეექვსე თეფში,
სარკეში ჩუმად ჩავიხედე და გამიკვირდა,
შენი თმის ფერი შემრევია შერჩენილ თმებში.

***

აღდგომაა, გავჭრათ პასკა –
მარტო დავრჩეთ მე და შენ,
მერე ერთად გავეპაროთ –
დედაჩემს და დედაშენს.

გაზაფხულის თბილი სუნი
მოსდებიათ ვენახებს,
თივის ზვინში დავემალოთ –
დედაჩემს და დედაშენს.

უველა ღილი ასწუვეტია
ჭრელა–ჭრელა პერანგებს,
ასე არვინ ჭუვარებიათ –
დედაჩემს და დედაშენს

აღდგომაა, გავჭრათ პასკა
მარტო დავრჩით მე და შენ
ამღამ ერთად დავემალოთ –
დედაჩემს და დედაშენს....

ᲔᲪᲔᲡ

ცხოვრების არსს და სიცოცხლის მიზეზს,
შენი თვალებით გრძნობებით ვხედავ,
ღმერთმა ამაზე დიდი საუნჯე
რა უნდა მომცეს – მიყვარხარ, დედა!

შენი ნანინა დღესაც მამშვიდებს
და შენზე ლექსსაც ამიტომ ვბედავ,
შენზე ლამაზი და საფიცარი,
ვინ უნდა მყავდეს, – მიყვარხარ, დედა!

მინდა ჩამიკრა ხშირად მკლავებში
რომ გამიქარვო ნაღველი, სევდა,
დიდხანს იცოცხლე, რომ გვერდით მყავდე,
მე შენ მჭირდები, – მიყვარხარ, დედა!

კვლავ მიმძაფრდება შენი სურნელი,
უშენოდ ყოფნა სულს დამილევდა,
მე მინდა ვიყო ის ნაზი ნერგი,
შენ რომ ახარე, მიყვარხარ, დედა!

ეს დიდი გრძნობა რომ ჩაღვენთოდათ,
ქვიშის კოშკებსაც რა დაანგრევდა,
ღმერთმა დალოცოს საქართველოში
დედა და შვილი – შვილი და დედა!

***

საქართველოს მინდორ-ველებს,
მოჰფენიათ ყაყაჩო,
მინდა ფეხით მოვირბინო
და გრძნობები დავაცხრო.
საქართველოს მთებს მადლიანს
ნისლი გადაჰფენია,
ეს ანკარა წყაროები
და ეს ტბებიც ჩვენია.
აქ გმირები თავს სწირავდნენ,
ჩხები ედოთ უბეში,
ქალის მოთქმა გულს თუთქავდა,
ხატი იყო ნუგეში!
ჩვენ მომავლის იმედი გვაქვს,
სულს გვიმხნევებს წარსული,
ღმერთო, მუდამ დამილოცე ყველაფერი ქართული!

***

პატარა თითებით დავხატავ სამყაროს,
სამყაროს, რომელსაც არ ხატავს სხვა.
ხაზები, შტრიხები არ ცნობენ კანონებს,
ცა - მწვანე ფერია, თეთრია - ზღვა.
აქ სულის სამყოფი მრავალი ფერია,
ნარნარა, ხასხასა ოცნების გზა.
აქ ჩემი სუნთქვაა, აქ ყველა ჩემია,
ეს სულ სხვა გრძნობაა, რწმენაა, ხსნა.
სულს თუ მოსწყინდება ფერთა ფორიაქი,
თუ ვერ გავაცოცხლებ იას და ბზას,
მოლბერტი ეულად დარჩება ოთახში
და ჩემს ძველ სურათებს წაიღებს სხვა.
ამ ჩემი თითებით დავხატავ სამყაროს,
სამყაროს, რომელიც არა ჰგავს სხვას,
აქ სულის სამყოფი მრავალი ფერია,
მომავლის, მიზნების ოცნების გზა!

საბას

პირველად რომ დაგინახე,
თვალში ცრემლი ჩამიდგა,
თვალწინ ჩემი დაბადება
და ბავშვობა დამიდგა.

მაგ ოქროსფერ კულულებზე,
ძლივს შეგახე თითები
და ჩურჩულით შემოგფიცე:
მუდამ შენთან ვიქნები!

ერთი ციდა თეთრი კაცის
გულისცემა მიძგერდა,
ჭრელა-ჭრელა საწოლიდან
ორი თვალი მიცქერდა.

ოჰ, რა ძლიერ მომერია,
არნახული გრძნობები
და ჯერ კიდევ ჩვილ ლოყებზე,
დაგაყარე კოცნები.

შენი სუნი მისცემოდათ,
გაზაფხულის მინდვრებს
და ხელახლა დავიბადე,
შენ რომ გაჩნდი იმ დღეს.

***

რატომ მითხარი, რომ სიცოცხლეს შენთვის ვუიდულობ,
როდესაც ბევრჯერ მიფიქრია, მალე მომიკვდე.
გადაღლილ სახეს ვეღარ უძლებს ჩემი თვალები,
ერთხელაც, იქნებ, შენს საშველად აღარ მოვიდე!

თვალის უპეში ჩამრჩენია შენი დარდები,
გაყინულ სხეულს დაგიფარავს ჩემი კოცნები
და გაგაცილებს მოქამული შავი ვარდები,
ეკლესიებში დაიწყება შენზე ლოცვები.

მუხლმოდრეკილი ეკლებს დავგლეჯ შავი მიწიდან,
თითქოს, შენს გულში ჩარჩენიათ ხშირი ფესვები,
ვაიმე დედა,– როგორა ვთქვა აწი პირიდან,
ან სად გავითბო გაყინული ჩემი ხელები!

წუხელ ვინატრე, აღარ გვინდა, მინდა მომიკვდე,
დაისვენო და ამდენ ტანჯვას რომ არ გაუძლო,
შენ დაისვენებ, მე დავრჩები და მე ვიდარდებ,
დარდზე, რომელზეც ვერასდროს და ვერსად ვსაუბრობ.

კალამის წვერი შხამიანი, ამ თეთრ ფურცლებში,
როგორც ჩემ გულში მანკიერად ავლებს იარებს,
მიყვარდი, დედა, თუმცა, მაინც რაღაც დაგაკელ,
რაღაცით, ალბათ, ვერ გიშველე, ვერ მოგიარე....

როცა სიკვდილზე იმ საღამოს შენ ჯვარს იწერდი,
იყო ტირილი, ვედრება და იყო წამება,
ვეჩვიე დედი, ვეჩვიე და ვერ შევეჩვიე,
ძნელია შენი ამ ქვეყნიდან გარდაცვალება!

***

მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან
გრძნობებს გაგიმხელ, ამდენ ხანს რომ გულში ვინახავ,
გადაგეხვევი, ტუჩებს ყურთან ახლოს მოგიტან
და ფრთხილად გეტყვი, ჩემო კარგო, ძლიერ მიყვარხარ!

მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან
სულს მარტოობა შეერია და სანამ წაშლის,
გულის გასაღებს შენ მოგართმევთ, შენთან მოვიტან
მთელ შენს სამყაროს შენს ფეხებთან ხალიჩად გავშლი!

მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან
გოგო-ბიჭებით გამრავლდება ჩვენი სამყარო
და არ ვიდარდებ, სიკვდილისგან მოსულ მოკითხვას,
მაგ ტკბილ გრძნობასთან ვერავინ და ვერსად გამყაროს!

მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან
ჩვენს ზღაპარს დავწერთ სიყვარულის ისტორიაზე...
ზამთარში სითბოს, ზაფხულში კი - თოვას მოგიყვან,
ოღონდ გინდოდე, ჩემო კარგო, ოღონდ გიყვარდე!

მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან
ო, რა საოცრად მოგიხდება დედოფლის კაბა,
მაგ თმებში მინდვრის ჭრელ ყვავილებს ხელით ჩაგიწნავ
და როცა ყველა ქორწილიდან სახლებში წავა...

ოდნავ დამფრთხალს და შეციებულს გაკოცებ შუბლზე....
ღამის ქუჩებში საცეკვაოდ გარეთ გაგიყვან...
უკვდავ სიყვარულს შემოგფიცებ შენ მთვარის შუქზე...
მე, ხვალე დილით შენთან მოვალ, ცოლად მოგიყვან!...

***

თუ არ იქნები ჩემთან,
მე აღარ მინდა ხვალ...
მინდა, ჰაერი ვიყო
და ჩამისუნთქო დილით,

მინდა, რომ ნერგი ვიყო
მე სიყვარულის ხილის.
მინდ, აფილტვები ვიყო,
„უსუნთქვაობა“ გკლავდეს,

მინდა, რომ გული ვიყო
და ჩემი ფეთქვა გწამდეს. ..
მინდა, რომ ენა ვიყო,
უჩემოდ იყო მუნჯი/

მინდა, მხატვარი ვიყო,
შენი გრძნობების ფუნჯი.
მინდა, თვალები ვიყო,
უჩემოდ გერქვას შენ ბრმა.

მინდა, ისეთი იყო,
ყოველღამ მსურდეს შებმა...
თუ არ იქნები ჩემთან,
მე აღარ მინდა ხვალ...

ՐՅՆ

პირველ ნახვაზე ლექსად დაგწერე,
შენ კი ფოთოლი ჩუმად მაჩუქე.
ხან ავდიოდით მაღლა ღრუბლებთან,
ხან – ვაგროვებდით რაღაც ნაჭუჭებს.

ჩვენ ყოველ წერილს სული ჩავუდგით,
კალამიც თვითონ გწერდა და გწერდა,
ისეთი გრძნობა გამოვიგონეთ,
კაცობრიობას რომ გადარევდა.

არც ფიცი იყო და არც ლოდინი,
არც მონატრებით სული მტკიოდა,
უბრალოდ იყო ამოვარდნილი
ქარბორბალა და მიმოდიოდა.

ბინდავდა ყველას – შენ ჩანდი როცა,
ანგრევდა კედლებს, ჩვენ სავალ გზაზე
და ასე შლეგად, ასე გიჟურად
ავედით გრძნობის „სიყვარულ – მთაზე."

ხელში მეჭირა ხუთი თითი ლამაზი ქალის,
თვალებში ჩანდა მომავალის ყველა ნაბიჯი,
ასე ამაყად, ასე მშვიდად, ასე შეგნებით
ოცი წლის შემდეგ, როგორც მაშინ, ახლაც გავგიჟდი.

***

მე იმ ორღობის ბუჩქი მიყვარს, შენ რომ ჩაივლი,
იმ სარკმლის შუშა, სიყვარულით რომ გადმომხედავ.
ჩემი სიბერე როგორ მიყვარს, შენ ხომ არ იცი?!
ნაოჭებით და ვერცხლის თმებით სახეს გასხედან.

წარსულში შენი არსებობა ძლიერ მახარებს,
მომავალშიაც შენი თვალის ათინათს ვხედავ,
და სასთუმალთან მე სიბერე როცა დამიცდის,
ნეტავი კოცნას მაშინაც კი თუ გაგიბედავ?!

სონეტი

შენი ხელების
თლილი გველები
გადამწოლიან თმაზე.

შენი თვალები,
ცეცხლის ალები
ალმურს მადებენ კანზე.

ეგ იოგები,
ხმების ტონები
არ მაძინებენ ღამე.

წარბის მორევი,
თვალთან ფორები,
მოდი, მიშველე რამე.

ტანზე ხალები,
მიუკარები,
საიდუმლოა რაღაც.

შენი ფეხები,
ფრთხილად ვეხები
არ დაგიჭმუჭნო კაბა.

სველი ტუჩები,
რომ იშმუშნები,
აფეთქებაა ვარდის.

წუვილი ყურები,
სულ საყურები
მიზეზი არის დარდის.

ლოყის ზოლები,
პირში ბროლები
საეჭვიანოდ მიმზერს.

ყველა სხივების
მოვჭერ ძირები,
სხვაც რომ არ შექმნას იმ მზემ.

წერილი შვილებს

ბოდიში, შვილებო, რომ მამების თაობამ ვერ აგარიდეთ თვალებში ჩამდგარი შიში...

რომ 2008 წელს, მაშინ, როცა ჩვენს სახლთან ტანკები ჩამოდგნენ, მე თქვენს გვერდით არ ვიუავი.

შენ, საბა, მაშინ უჩემოდ ჩახედე შიშს თვალებში და დედის ხელს ჩაჭიდებული მე მეძებდი...

მეც მეშინოდა და მაინც ქვეუნისთვის და შენთვის ვიდექი სადარაჯოზე...

მეშინოდა სიკვდილის მაშინაც, მებრძოლების სიაში ჩემი გვარი რომ მივაწერე...

უჩემოდ შენი დატოვების მეშინოდა,...

მერე, მერე 12 წელი გავიდა და შენი ერთი სიცოცხლე სამად მექცა...

და დღეს უკვე სამი წუვილი შეშინებული თვალი უუურებს ახალ ტრაგედიას...

არა რომელიმე კონკრეტული ადგილის სიკვდილს, არამედ დიდს, ზოგადსა და ყოვლისმომცველს.

შეშინებული თვალები ხედავენ, როგორ კვდებიან დედები, მამები, შვილები და ვერავინ შველით...

და არც ახლა ვარ სამი შეშინებული გულის გვერდით,

ახლაც ჩემი ქვეუნისა და ჩემი ქალაქის უსაფრთხოებას ვიცავ...

მინდა, გამომეღვიძოს და მივხვდე, რომ ცუდი სიზმარი უოფილა ყოველივე...

ბოდიში, შვილებო, მამების თაობამ ღმერთი რომ მივატოვეთ, სიყვარული რომ ვერ შევძელით...

მიყვარხარ, გიორგი, შენი ათრთოლებული ხელის ჭირიმე, ძილის წინ პირჯვარს რომ იწერ და ჩემს ნასწავლ ყველა ლოცვას ბეჯითად იმეორებ.

„ალო, მა, როგორ ხარ, მშვიდობა გაქვს? ხომ არ დაიღალე, გიო და ნეა კარგად არიან. სახლში მოსვლას რომ მოახერხებ, საკმეველი წამოიღე, დღეს დილით ყველას რომ ეძინა, ჩვენთვის ვილოცე და ბოლო მაშინ დაიწვა... გაკოცე, მა, შენი საბა“